



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევანგელისტური ეკლესია

ევანგელისტური ეკლესია, პროტესტანტული, ძირითადად ლუთერანული ეკლესიების საერთო სახელწოდება. საქართველოში ე. ე. 1914 დააფუძნა მცირე აზიიდან შემოსულმა მისიონერმა დევიდ ურშანმა, რ-იც შემდეგ ევროპაში გადავიდა. 1999 ე. ე. ხელმეორედ დააარსა პასტორმა ზ. ტყეშელაშვილმა. იგი აცხადებს, რომ ეკლესია შეიძლება მოიხსენიებოდეს როგორც ევანგელისტური (მახარებლური) და არა ევანგელური (სახარებისეული). ე. ე. აღიარებს რწმენის მთავარ ფუნდამენტს: წმ. სამებას და ქრისტეს ღვთაებრიობას. აღესრულება ზეციდან შობის, ნათლობის, ევქარისტის, ქორწინების, ხელდასხმისა და ზეთისცხების, სულიწმიდით ნათლობის საიდუმლოებები. საზოგადოდ, ე. ე. აღიარებს ნათლობის ორ ფორმას: ნათლობას წყლით და ნათლობას სულიწმიდით. ე. ე-ს საქართველოში დაახლ. 150 მიმდევარი (2008) ჰყავს.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008.
